ფასი 1 მან.

# ახალი ნაკადი

„მუშათა განთავისუფლება მუშათა საქმეა“

საქ. რევოლიუციონურ სინდიკალისტთ მაშვრალთა კავშირის ორგანო

კვირა 20, აპრილი

№ 21 1919 წ.

გაზეთი ამთავითვე გამოვა კვირაში ერთხელ — კვირაობით

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიიღება ხელის მოწერა 1919 წლისთვის

გაზეთ

„ახალი ნაკადი“-ზე

გაზეთი გადიდებული ფორმატით გამოვა კვირაში ერთხელ კვირაობით

გაზეთის ფასი:

ერთი თვით 4 მან., ცალკე ნომერი 1 მან.

დაკვეთა შეიძლება წლიურად. მიიღება განცხადება.

ხელის მოწერა მიიღება გაზეთის კანტორაში სასახლის ქ. № 5, ქართული კლუბის შენობ. ყოფილ სამხედ. კავშირის ოთახში. იქვე შეიძლება მდივნის ნახვა დილის 9—2 საათამდე და საღამოს 6—8-დენ.

დემოკრატიული კლუბი „მუშტაიდი“

დემ. კლ. არს. ქარ. წარ. მმარ, წრე. სამშაბათს 22 აპრილს 1919 წ.

მსახიობ პ. ფრანგიშვილის ბენეფისი

წარმოდგენილი იქნება

დ ა - ძ მ ა

5 მოქ. 6 ს. გ. გუნიასი

მონაწილეობენ წრის საუკეთესო ძალები

ბილეთების ფასი საბენეფისოა. ბილეთები იყიდება ყოველ დღე კლუბში. დასაწყისი საღამოს 8 საათზე

**ტფილისი აპრილის 20 1919 წ.**

**სამშვიდობო კონფერენცია.**

უკანასკნელ ხანებში ხმები გავრცელდა, რომ სამშვიდობო კონფერენცია, რომელიც დღეს პარიზშია თავმოყრილი, უკვე დაშლის გზას დაადგა და პრეზიდენტი ვილსონი ამერიკაში ბრუნდებაო. მართალია დღეს ეს ხმები თითქოს უარყოფილია, სწერენ, თვითომც ყველა საკითხები მოაგვარეს და აპრილის 25-ს ვერსალში გერმანელების წარმომადგენლებსაც მიიწვევენო, მაგრამ ჩვენ მაინც დიდის ეჭვით ვუყურებთ პარიზის კონფერენციის მუშაობას. ჩვენ ღრმად გვჯერა, რომ ეს კონფერენცია უძლურია მოაგვაროს და მოაწესრიგოს ის საკითხები, რომლებიც თანამედროვე მსოფლიო ომმა წამოაყენა ჩვენის აზრით დღეს კაცობრიობა დაახლოებით იმავე ხანას განიცდის, როგორსაც განიცდიდა ვენის კონგრესის წინ. რასაკვირველია მაშტაბი მოვლინებისა დღეს სხვაგვარია, გარემოცული პირობებიც მრავალფეროვანი, დიდ ისტორიულ პროცესში მომქმედ ძალთა განწყობილებაც შეცვლილი, მაგრამ როგორც მაშინ, ისე დღესაც გარკვეულად იბრძვის ორი ძალა: იმპერიალისტური და ბურჟუაზიული ეს ძალა ლამობს დაამყაროს თავისი მსოფლიო ბატონობა და ალაგმოს ძალა რევოლიუციონური, რომელსაც მიზნად განთავისუფლება აქვს დასახული. თუ ვის მოხიბლავს ვილსონისა და სხვების ლაღადისი ხალხთა ლიგის შესახებ, რადგან მათ მიერ შექმნილი ლიგა — ეს იქნება დიდ იმპერიალისტურ სახელმწიფოთა ბატონობის განმტკიცება, მხოლოდ ყველა ერის მუშათა კლასის გამარჯვებას, მათ შეთანხმებას და მსოფლიო ფედერაციას ძალუძს არსებითად სამართლიანად გადასწყვიტოს წამოჭრილი საკითხები და კაცობრიობას მიანიჭოს მშვიდობიანობა. სათნოება და სიყვარული.

შესაძლებელია, პარიზის კონფერენცია მაინც დამთავრდეს განსაზღვრული შედეგით, მაგრამ ეს შედეგი ვერ იქნება ის, რასაც შენატრის სისხლიდან დაწრეტილი და წამებული კაცობრიობა. და ეს შედეგი ერთხელ კიდევ დაარწმუნებს ყველას, თუ რამდენად უძლურია თუ გნებავთ უაღრესად დემოკრატიული და განათლებული სახელმწიფოების ბურჟუაზიაც კი გადასჭრას საერთაშორისო საკითხები. პირიქით მათ შეუძლიათ ახალი ომის გამოსწვევ მიზეზებს ჩაუყარონ საძირკველი, რომ მომავალში კვლავ სისხლის ღვრას ექნეს ადგილი.

მსოფლიო კონფერენცია, რომელსაც დაესწრება შრომის შვილნი და წარმომადგენელნი, იქნება ის ყრილობა, საბოლოოდ რომ მოსპობს ერთა შორის შუღლსა და ქიშპობას და კაცობრიობას ახსნის მონობის ყოველგვარ ბორკილებს. ამ ყრილობისთვის უნდა ვმუშაობდეთ დღე და ღამე ჩვენც...

---

**ჩვენი აღდგომა**

ქრისტიანები დღეს ჩვეულებრივად შეხვდებიან იესო ნაზარეველის აღდგომას. ქეიფითა და ლხინით მოიგონებენ ამ დღესასწაულს და ტრადიციულად იმღერებენ „ქრისტე აღდგა“.

ჩვენ ვერ მივიღებთ მასში მონაწილეობას, რადგან ჩვენი ამ ქვეყნიური იესო ნაზარეველი ჯერ კიდევ მწარედ ეზიდება გოლგოთას წამების ჯვარს მართალია, იგი იესო — მშრომელი ხალხი დღეს მზადაა დასცეს მეუფება წყვდიადისა, ბოროტებისა და მონობისა, მაგრამ არც მის მტრებს სძინავთ და გამალებული იერიშები მიაქვთ მასზე. იესო ნაზარეველი ჯერ კიდევ სისხლსა ღვრის ეკლის გვირგვინით არის შემკული.

მაგრამ ჩვენ გვჯერა, რომ იგი თვისი გამარჯვებით აღადგენს თავისუფლებას და მაშინ ჩვენც ყველას გულღიად და აღფრთოვანებით ვეტყვით

„იესო ნაზარეველი მკვდრეთით აღსდგა“

გიხაროდესთ, მაშვრალნო!

---

# ჩვენი მთავარი პრინციპები

თუ კი ჩვენ ასეთი წარმოდგენისა ვართ ისტორიულ პროცესზე, მაშ როგორ დ, რა სახით უნდა მოახდინოს მშრომელმა ხალხმა თავისი საბოლოო განთავისუფლება? — ის პოლიტიკურ-სოციალისტური პარტიები და მათ შორის განსაკუთრებით სოციალ-დემოკრატები, რომელთაც თავის უახლოეს მიზნად დაუსახავთ ბრძოლა სახელმწიფოებრივი აპარატის ხელში ჩაგდებისათვის, გვეტყვიან: მშრომელი ხალხის მოვალეობაა ნაწილობრივ და ბოლოს სავსებით მიისაკუთროს სახელმწიფოებრივი ძალა-უფლება და მისი მეოხებით მოახდინოს სოციალური ტრანსფორმაცია. სოციალ-დემოკრატიას დღეს თითქოს ერთი და იგივე ნიადაგი აქვს ბურჟუაზიასთან — ეს ნიადაგია — არსებული პოლიტიკური რეჟიმი — პარლამენტი; განსხვავება მხოლოდ ის არის, ბურჟუაზია ისწრაფვის პარლამენტი კაპიტალიზმის გამტკიცების იარაღად გაიხადოს, ხოლო სოციალ-დემოკრატიას სურს პარლამენტარიზმის მეოხებით დაარღვიოს კაპიტალიზმი და რეფორმების საშუალებით დასაბამი მისცეს დიდ გარდაქმნას.

ასეთი რეფორმისტული განწყობილება დღითი-დღე იზრდება საერთოდ სოციალ-დემოკრატიულ წრეებში და რაც უფრო ძლიერდება მათი გავლენა პოლიტიკურ ცხოვრებაზე, მით უფრო თვალსაჩინო ხდება ეს ტენდენცია პარლამენტარული შემოქმედებით არსებული ეკონომიური მონობის საბოლოო შეცვლისა.

რასაკვირველია, ასეთი არ იყო თავიდანვე შეხედულება ამ პარტიისა, რომელსაც სხვადასხვა ქვეყანში მუშათა კეთილდღეობისათვის თავგანწირული ბრძოლის ლამაზი ისტორია შეუქმნია.

მათი მამა-მთავარი მარქსი სწერდა: „კომუნისტებს სასირცხვოდ მიაჩნიათ დაფარონ თავისი მიზნები. ისინი გულახდილად ამბობენ, რომ მათი მიზნის მიღწევა არსებული წესწყობილების მხოლოდ ძალადობით დარღვევით შეიძლება. დეე, ძრწოდენ კომუნისტურ რევოლიუციის წინაშე გაბატონებული კლასები! პროლეტარები მასში არას დაჰკარგავენ გარდა თავისი ბორკილებისა. ხოლო მოიპოებენ მთელ ქვეყანას. პროლეტარებო, ყველა ქვეყნისა შეერთდით“-ო. გერმანიის დღევანდელ რევოლიუციაში უღვთოდ ბოლო მოღებული ლიბკნესტი ამბობდა: სოციალიზმი აღარ არის უკვე თეორის საკითხი, არამედ „ძალის საკითხია“. იგი ვერ გადაწყდება პარლამენტში, არამედ ქუჩაზე — ბრძოლაში. პარლამენტი მხოლოდ წვრილი ბურჟუაზიისათვის არის სასარგებლო.

ბებელიც კი შემდეგ აზრს გამოსთქვამდა: „ვინც სოციალიზმის განხორციელებას პარლამენტის საშუალებით ლამობს, ის ან ვერ იცნობს ამ მიზანს და ან სხვებს ატყუებსო“. მაგრამ, ვიმეორებ, მას შემდეგ, რაც სოციალდემოკრატიის წევრები პარლამენტში თვალსაჩინოდ გაიზარდნენ, ზოგან გაბატონდენ კიდეც, მათ დაივიწყეს ტრადიცია თვისი თავგანწირული მებრძოლ ამხანაგებისა და შეიძლება ითქვას, რომ იგინი დონკიხოტებათაც კი მონათლეს. ერფურტის ყრილობაზე „ახალგაზრდებმა“, რომელნიც უკიდურეს მემარცხენე ფრთას წარმოადგენდენ, არსებითად გაილაშქრეს ასეთი ტენდენციის წინააღმდეგ, მაგრამ ს ახალი ცოცხალი ძალა პარტიიდან იქნა გაძევებული. და რაკი პარლამენტარული მოღვაწეობას ასეთი უდიდესი მნიშვნელობა სოციალდემოკრატიამ, მან თავი ველარ შეიკავა ლიბერალე-თან შეთანხმებისა და მათთან დაახლოვებისაგან, რუსეთის სოციალ დემოკრატიის მესვეური, განსვენებული პლეხანოვი, ასეთ ასლარებამდის მივიდა: „ჩვენ ვფიქრობთ, თუ ჩვენს ლიბერალებს მართლაც უნდათ მიაღწიონ პოლიტიკურ თავისუფლებას, მათ არ შეუძლიათ იმაზე უკეთესი რამ მოიგონონ, რომ სოციალისტებს შემოგვიერთდენო“ *) (სიკ!).

ერთი მწერალი სრულიად სამართლიანად აღნიშნავს პოლიტიკურ-სოციალურ ჯგუფების მიერ სახელმწიფო ძალა-უფლების მითვისებისათვის წარმოებულ ბრძოლაში ყოველგვარ სამართლიანობის დავიწყებას: „ასინი ხმა მაღლა მოითხოვენ პარტიულ კანონმდებლობას, რომელმაც უნდა გასრისოს უმცირესობა, და ამასთან ერთად იმ აზრამდის მიდიან, რომ სამართლიანობა, როგორც ასეთი, დამარცხებულთათვის არც კი არსებობსო“. **) ამავე დროს დასავლეთ ევროპაში „გაბატონებული კლასები, სახელმწიფო და ეკლესია ერთი მეორეს ეჯიბრებიან სოციალური რეფორმატორობის ნიადაგზე. მათ სურთ დაუმტკიცონ სოციალისტებს, არსებული წესების დამრღვევლებს. რომ შეძლებულთა კლასს ძალუძს ჰეშმარიტი თავგანწირვა; თითოეული ცდილობს შეასრულოს თავისი მოვალეობა — აბსოლუტურად მთელი თვისი მოვალეობა.

ეს ახალი ტენდენციები არა სიღარიბისა თუ საქველმოქმედო ინსტიტუტების სასახელოდ წარმოთქმულ სიტყვებში გამოიხატებიან, არამედ მთელ რიგ კანონმდებლობითი აქტებსა და ფილანტროპიულ განზრახვებში, რომელნიც დიდ ხარჯებს მოითხოვენ. ჩვენ გაგვიჭირდებოდა გაგვეგო თანამედროვე საფრანგეთის პოლიტიკა, რომ ჩვენ არ გვცოდნოდა არსებობა მრავალ რიცხოვან ადამიანთა, რომლებიც მზათ არიან დიდი მსხვერპლი გაიღონ იმის დასახსნელად, რაც მათის აზრით, არსებული ცივილიზაციის ესენციაა. ისინი მზად არიან გაიღონ თვისი ოქრო, რომ დაიცვან ის, რაც მათი შეხედულებით, ეკონომიური თვალთაზრისით დაუფასებელია; ამით მათ იმედი აქვთ, რომ შეაჩერებენ რევოლიუციურ სოციალიზმს“. *)

1851 და 1871 წლების დიდი რეაქციის შემდეგ თითქოს შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ პროლეტარიატსა და ბურჟუაზიის შორის საბოლოოდ გაითხარა უბსკრული, რადგან ის რეპრესიები, რომელიც მათ მოჰყვა, არსებითად უარყოფდა ყოველგვარ ფიქრს სოციალური მოვალეობის შესახებ, მაგრამ მიუხედავად ამისა, ეს კავშირი მაინც არსებობდა.

რა იყო ამის მიზეზი? „პირველად ყოვლისა უნდა აღინიშნოს ის გავლენა, რომელსაც იწვევს რევოლიუციური ლეგენდა. საერთოდ აღიარე-

*) იხ. პლეხანოვის „на два фронта“ გ. 99

**) იხ. სორელი „Социальные очерки современной экономии“, გვ. 4.

*) იქვე გვ. 39.

ბუღი აზრით, ჩვენ ერთი ნახტომით გადავალთ უსრულო უფლებისაგან, რომელიც ხელს უწყობს არისტოკრატიის ინტერესებს, სრულს უფლებაზე, რომელიც ღარიბთა დიდი უმრავლესობისათვის იქნება ხელსაყრელი. და ეს გადასვლა თითქოს მართვა-გამგეობის ორგანოების შეცვლით უნდა მოხდეს. იმის მაგიერ, ეს ორგანოები მცირერიცხოვან მოხელეთა და კარისკაცთა ხელში იყოს, ადამიანებმა თავისი გულისყური სახალხო წარმომადგენლებს მიაპყრეს და ფიქრობენ, რომ სახალხო წარმომადგენლობა, საყოველთაო საარჩევნო უფლებაზე დაფუძნებული, წარმოშობს სამართლიანობას ისე, როგორც სათიბი—თივას. **) მართლაც და ბევრგან ისე წარმოიდგინეს პარლამენტარული მოღვაწეობა, რომ მას თითქოს შეეძლოს მშრომელი ხალხის საუკუნებრივი ტკივილების დაყუჩება რომ იგი თანდათანობით გარდაქმნის ცხოვრებას მრავალ ფეროვანი რეფორმებით, და უნდა ითქვას, რომ სხვა და სხვა ჯურისა და სახის ლიტერატორები, მოპოლიტიკოსე დიპლომატები თვის შევარაყებულ სიტყვებში მარადის ახხენებენ რაღაც „უცნობ“ სამართლიანობას, რომელიც ნესტან დარეჯანივით ქაჯეთის ციხეშია დამწყვდეული და რომლის განთავისუფლებაც მხოლოდ პარლამენტებს შეუძლიათ, ესენი არ ერიდებიან დაახშონ მუშათა ხალხის კლასობრივი შემეცნება და სამაგიეროთ მათში კლასთა შორის თანამშრომლობის აუცილებლობა გაავრცელონ.

ანაბაპტისტი.

---

## დამფუძნებელი კრება და კონსტიტუცია.

(გაგრძელება იხ. „ახ. ნაკადი“ № 18)

განა ას. არ მოიქცა ნაპოლეონი, როდესაც მან 18 ბრიუმერს გარეკა საფრანგეთის საკანონმდებლო კრება და თვითონ შეიქმნა დიქტატორი და პირველი კონსული!..

აქედანაც აშკარაა, თუ რას წარმოადგენს თავის თავად დამფუძნებელი კრება.

იგი რევოლიუციონური დემოკრატიის, გამარჯვებული ხალხის ნება სურვილის აღმსრულებელია მხოლოდ, იგი ასრულებს მის ბრძანებას, დავალებას, დირექტივებს (იმპერატიული მანდატი) და სხვა არაფერი. ერთი სიტყვით—იგი რევოლიუციონური მთავარი ორგანოა და ამიტომ დამფუძნებელი კრება ყოველთვის იმყოფება ქუჩის გავლენის ქვეშ და მის წინაშე პასუხისმგებლობას ვერას დროს ვერ გაექცევა, ვერ ავა მბრძანებლობის და ბატონობის სიმაღლეზე ქუჩის უდასტუროთ, რევოლიუციის მესვეურთა ნება დაურთველად.

როგორც ხედავთ, აქ დიდი განსხვავებაა ჩვეულებრივ პარლამენტსა დამფუძნებელ კრების შორის. იმ დროს, როდესაც პარლამენტი ეყრდნობა სახელმწიფოში კონსტიტუციას, კანონს და ადმინისტრაციას, იგი ძალიან ნაკლებად განიცდის ხალხის ნების ზეგავლენას და მისი დამოუკიდებლობა ბევრად უფრო თვალსაჩინოა.

ეს ადვილი გასაგებიცაა. როდესაც სახელმწიფოში სიწყნარეა, კონსტიტუცია და კანონიერება ძალაშია, რითაც ყოველი მოქალაქე უკვე ერთგვარად უზრუნველყოფილია თავის უფლებებში, პარლამენტი დამშვიდებით უძღვება ქვეყნის მართვა-გამგეობას უკვე შექმნილ უფლებრივ ნორმების ფარგლებში და მოქალაქეთ არა აქვთ საბაბი და საჭიროება ბის საქმეებში პირდაპირ, ძალ დატანებით ჩარევისა.

დამფუძნებელი კრება კი სულ სხვა არის, აქ რევოლიუციონური ხალხი ჯერ ისევ იარაღ შეჭურვილი სდგას დაპყრობილ პოზიციებზე და მანამდის ვერ დაწყნარდება, ვერ ჩამოჰკიდებს კაჩხაზე გაწმენდილ თოფს, სანამ არ ჩამოყალიბდება ახალი უფლებრივი ნორმები და არ მოეწყობა მისი პოლიტიკო-სოციალური ცხოვრება მისი სურვილის თანახმათ. რომ დაჰყაროს იარაღი უდროდროს, იმან კარგად იცის რომ ვილაცა ვიგინდარა, მტერი რევოლიუციისა და ხალხისა, ხელში აიტაცებს ძირს დადებულს მახვილს და შავ დღეს დააყენებს ჰირნახულ მებრძოლთ. ეს გარემოება ხალხმა ინსტიქტით იცის, სდგას დღე და ღამ სადარაჯოზე და ყოველ ჟამს თავდასხმას მოელის. ვერ ბედავს მოსვენებას, სანამ კანონის სახეს არ მიიღებს ყოველივე ის, რისთვისაც იგი ესე თავგანწირვით იბრძოდა, სანამ არ შეიქმნება საკმაო ორგანიზაციული სახელმწიფოებრივი ძალა ამ კანონების და ახალი წყობილების დასაცველად. მაშინ. მხოლოდ მაშინ ჩამოვა იგი ბასტიონიდან და გულდაწყნარებით მიუბრუნდება მშვიდობიან შრომას და კულტურულ მუშაობას. ყველა ამის გამო არავის არ უნდა უკვირდეს, თუ გამარჯვებული რევოლიუციონერები ასასივით თავზე ადგიან დამფუძნებელ კრებას და თვალს არ აშორებენ მის ყოველ დღიურ შემოქმედებას.

განა ასე არ მოიქცნენ საფრანგეთის რევოლიუციონერები იაკობინელები და ჟირონდისტები, როდესაც ძალის ძალად მთელი ნაციონალური დამფუძნებელი კრება ვერსალიდან მეფითურთ პარიზში გადმოაბძანეს და პარიზის პროლეტარიატის უახლოესი გავლენის ქვეშ დააყენეს!? ამრიგად, როდესაც ვაფასებთ ჩვენს დამფუძნებელ კრებას, ეს გარემოება ერთი უთითაც არ უნდა დაგვავიწყდეს თუ გვინდა გავიგოთ რას უნდა წარმოადგენდეს საქართველოს დამფუძნებელი კრება, პირიელ ყოვლისა უნდა ვიკითხოთ: ვინ არის დღეს ჩვენში გამარჯვებული, ვის ხელშია ძალა უფლება?

ეს ყველამ ვიცით: ჩვენში ბატონობს რევოლიუციონური დემოკრატია, მის ხელშია მთელი ძალა უფლება. დღეს ჩვენი ქვეყნის ბედ იღბალი სოციალისტების ხელშია და მთელი ხალხიც მათ მიჰყვება და უცხადებს ნდობას.

ვინ არის ეს ხალხი, რას წარმოადგენს იგი? ეს მთელი ქართველი მშრომელი ხალხია, ქართველი დემოკრატია,—ესა ვართ ჩვენ თვითონ.

მაშასადამე ჩვენმა დამფუძნებელმა კრებამ უნდა შეასრულოს ჩვენი ნება სურვილი, ჩვენი დავალება, უნდა შეასრულოს ის, რასაც ჩვენ ვუკარნახებთ.

რა უნდა გაგვიკეთოს ჩვენმა დამფუძნებელმა კრებამ, რას ვავალებთ მას?

სანამ ამ კითხვაზე პასუხს გავცემთ აუცილებლათ მოკლედ უნდა გადავხედოთ ჩვენი რევოლიუციის ხანას და ვნახოთ რა არის გაკეთებული და რისი გაკეთება გვპირდება კიდევ.

როგორც მოგეხსენებათ, ქართველი ერის მდგომარეობის გამო რევოლიუციამ ჩვენში რთული ხასიათი მიიღო. ვიდრე საქართველო განუყოფელი ნაწილი იყო რუსეთისა და პეტროგრადი იყო მისი ბედის და უბედობის სათავე, მანამდის ჩვენში რევოლიუციის მიმდინარეობა ჩვეულებრივი, უბრძოლო იყო და ადგილობრივ მაინც და მაიეც დემოკრატიას ბევრი თავის მტვრევა არაფერზე დასჭირვებია.

„რევოლიუცია ფოჩტით მოგვივიდაო“ გაიძახოდნენ ჩვენში, და ეს რამოდენიმე მართალიც იყო. ყველაფერი, რაც ძალა უფლებისათვის ბრძოლას შეეხებოდა, სწყდებოდა ადგილობრივ ცენტრში, სადაც სწარმოებდა ნამდვილი ბრძოლა ძველსა და ახალს შორის. აქ კი, ჩვენში სადაც რევოლიუციას და თავისუფლებას მტერი არა ჰყავდა, დემოკრატიას მხოლოდ აეღო ღვთის ანაბარად მიტოვებული ძალა უფლება გამგებლობისა და რევოლიუციონური წესრიგი დაეცვა ბრძოლას მოწყურებული რევოლიუციონერები უხერხულად გრძნობდნენ თავს ამ ახირებულ მდგომარეობაში. მათ ბრძოლა სწყუროდათ, მტრის განადგურება მაგრამ მტერი არსად სჩანდა. ყველა აღფრთოვანებული იყო განახლებული, თავისუფალი ცხოვრების მოლოდინში და მცირე ჯგუფი რეაქციონერებისა ნაწილობრივ სოროებში მიიმალნენ, ნაწილმა კი ურცხვად წამოისხა წითელი მანტია რევოლიუციისა და სამართლიანად დაიმსახურა სახელი „მარტის რევოლიუციონერებისა.“

მაგრამ გარემოება ჩქარა შეიცვალა 24 ოქტომბერს 1917 წელს გასწყდა ძაფი ჩვენსა და ცენტრს შორის, შეირყა რევოლიუციონური წესრიგი სახელმწიფოში, იგი უცნაური სისწრაფით დაიშალა დაქუცმაცდა. მთელი იმპერიის სივრცეზე ვამეფდა საშინელება სამოქალაქო ომისა. ქართველი დამოკრატია იარაღში ჩაჯდა და მოემზადა რევოლიუციის მონაპოვართა დასაცველად. მისმა უმაგალითო უნარმა და ორგანიზაციულმა გაწრთვნამ გადაარჩინა ხალხი მოძმეთა სისხლის ღვრას და განადგურებას:

მაგრამ მდგომარეობა თანდა თან გართულდა ამერ კავკასიის ერთა შორის ურთიერთობის არევ დარევისა და ინტერესთა წინააღმდეგობის გამო საშინელი უბედურება დაატყდა ქართველ ხალხს: ის მარტოდ მარტო დარჩა რევოლიუციის ბრძოლის ველზე მტერთაგან გარს შემორტყმული და განადგურების კარზე მომდგარი. ყველას გახსოვთ ეს უმაგალითო დრო შარშანდელი გაზაფხულისა, ყველას გაჰყვება კუბოს კარამდის მისი ხსოვნა, ამ ვითარებამ სრულიად განსაკუთრებულ მდგომარეობაში ჩააყენა ქართველი რევოლიუციონური დემოკრატია. იგი უკვე ორ ფრონტზე აწარმოებდა საშინელ, თავგანწირულ ბრძოლას ერთის მხრით იგი ებრძოდა გარედან მოსულ მტერს და იცავდა ეროვნულ დამოუკიდებლობას, ხოლო მეორეს მხრით იბრძოდა შიგნით რევოლიუციის გასამტკიცებლად და მის მონაპოვართა შესანარჩუნებლად.

მძიმე იყო ეს ბრძოლა, უმაგალითო და შესანიშნავი. იგი დღესაც სწარმოებს და არ ვიცით როდის დასრულდება. მომავალი თაობანი გაკვირვებით წაიკითხავენ ჩვენ დღეთა ისტორიას და ქედს მოიხრიან ქართველი ხალხის მხნეობისა და სიმტკიცის წინაშე. მართლაც, გაგონილა რომ ჩვენისთანა პატარა ერს შესძლებოდეს ათი თვის განმავლობაში თორმეტი ომის გადახდა და შინაური ცხოვრების მოწესრიგებას სახელმწიფოებრივ ნიადაგზე, როდესაც მას აქნამდინ არც სახელმწიფო ჰქონია და არც მისი გამოცდილება!

ღირსშესანიშნავია ეს მოვლენა და ჩვენი არსებობის ისტორიის ფურცლების დამამშვენებელი,

აი სწორედ ამ განსაკუთრებული პირობების შედეგია ის, რომ ბევრი ნაწილი იმისი, რაც უნდა გაეკეთებია საქართველოს დამფუძნებელ კრებას, უკვე გაკეთებულია.

(შემდეგი იქნება)

ი. ვარაზაშვილი.

---

## რევოლიუცია და პარტიები

(გაკვრით)

დღევანდელ მომენტში ყველამ კარგათ იცის ის, თუ როგორი სასწაულისებური რამ მოხდა ორი წლის წინად თებერვლის უკანასკნელ რიცხვებში, ვითომდა განგებამ მოავლინა ქარიშხალი დასავლეთიდან, რომელმაც წალეკა ტახტი ნიკოლოზისა. ტახტი, რომელიც იყო აგებული სატანჯველად და თაყვანის საცემათ ტაჯნულ მორჩილ ერებისა და მშრომელი კლასისა. აი ეს ულმობელი ქარიშხალი, რომელმაც უკანასკნელი რისხვით გადაუძახა ნიკოლოზის ტახტი ჯურღმულში, მიაყარა ქვა და გუნდა და თან ჩასძახა „ნუღარ ფხარკალობ დალიე სული მტარვალო“ გახლდათ რევოლიუცია. რასაკვირველია, რევოლიუცია ჭირვეული ხალხის ცხოვრებაში, მაგრამ დაუფასებელი, დაუვიწყარი და გულის სიღრმეში აღბეჭდილი მშრომელი ხალხისთვის. მშრომელი კლასი, რომ სულდგმულობს და სცოცხლობს რევოლიუციით ეს ნათელია ყველასთვის მის შემდეგ, რაც საფრანგეთის პროლეტარიატმა თავის მუხანათ ძმებთან*) ერთად გულმკერდი შეუშვირა მოსისხლე მტრის ცხელ ტყვიას, დაანთხია სისხლი უმწიკვლო ანკარა, ვით სალ-კლდეზე გადმონახეთქი ნაკადული, მაგრამ არ შედრკა მტარვალის წინაშე და მიაძახა ბარიკატიდან ბასტილიას „შესდეგ კერპთ-კერპო! აკანკალდი! გეწვია სისხლის მფრქვეველი რაზმი, რაზმი პროლეტარიატისა, თაყვანსა გცემ ძალდატანებით არ გემონები ასრულებს ლი მოვიახლოვდა, ეხლა სხვა ხატი მინდა, ხატი ძმობა-ერთობისა თავისუფლებისა“ აი ეს იყო უკანასკნელი სიტყვა გულ-გაგმირულ-დასისხლიანებული პროლეტარიატისა და უკანასკნელი სულთამხუთავი ყიჟინით და ლომისებური იერიშით წარეცხა დედი მიწის ზურგიდან კერპთა-კერპი ბასტილია. ეს იყო პირველი გესლიანი ისარი, რომელიც მედგრათ ჩასცხო მშრომელმა კლასმა გაბატონებულ ბიუროკრატიას და გადუძახა უხსკრულში სამუდამოდ. უფრო ცხად საყოფად და დასასურათხატებათ მისა, თუ ვინ ახდენს რევოლიუციას და უდგია მას სათავეში, როგორც პირმშო შვილს, მე დაუთმობ მეორე ადგილს—რუსეთის დიდ რევოლიუციას, რომელმაც შეანგრია კედელი ბიუროკრატიისა და უჩვენა მაგალითი მოწინავე დასავლეთ ევროპის ხალხს განა ცხადათ არ დავინახეთ და მოწამენი არ გავხდით იმისა, რომ რუსეთის რევოლიუციამ სისხლით მორწყო პეტროგრადის ქუჩები? განა მანვე არ დაღვარა სისხლი კადეტ-მენშევიკ-ესერების კოალიციონურ მთავრობის გასარეკათ? ყველა ამაების შემდეგ, მე მგონი ეჭვი არავის შეეპარება პროლეტარიატის და მშრომელი გლეხების**) აქტიურ მონაწილეობის მიღებისა რევოლიუციაში, მის მუდმივ მეთაურობაში და ბოლომდის მიყვანაში—დაგვირგვინებაში. გარდა იმისა რომ რევოლიუცია ანგრევს დახავსებულ ბიუროკრატიას, ის სხვაფრივაც მრავალმნიშვნელოვანია. ვისაც უნდა გაიგოს და აინტერესებს, თუ როგორი იდეები ასულდგმულებს ამა თუ იმ პარტიას, სოციალისტურია იგი თუ ბურჟუაზიული, რევოლიუციონური თუ კონტრ-რევოლიუციონური, მე მგონი ვერც ერთი ფილოსოფიური მრწამსი ვერც ერთი პრინციპიალური საკითხი ქაღალდზე დაწერილი ვერ ცხადყოფს პარტიის მნიშვნელობას, როგორც რევოლიუცია. რევოლიუცია ეს ის სცენის ფარდაა, რომლის ზევით აწევის შემდეგ გამოჩნდებიან სცენაზე ყველა პარტიები თავ თავისი ფიზიონომიით. რევოლიუცია ეს ის აბანოა, რომელზედაც ქართული ანდაზა ამბობს: „თეთრი კანი, შავი კანი აბანოში გამოჩნდებაო“. აი ეხლა ხელსა გვაქვს ორი რამ დამახასიათებელი რევოლიუციისა, რომელიც ააშკარავებს ყველა პოლიტიკური პარტიების ფიზიონომიას და ჩვენც შევუდგეთ ამ საზომით მათ განხილვას რუსეთში და შემდეგ პარალელურად საქართველოში. რ[illegible] რუსეთის ტერიტორიაზე მოქმედობდა შემდეგი პარტიები[illegible] ციონერებისა, სოციალ-დემოკრატიული: მენშევიკებისა და ბოლშევიკებისა და კადეტებისა. პირველ ორი პარტიის ჩანასახი *) იყო სოციალისტური, მხოლოდ მესამესი კი ბურჟუაზიული. აი ამ სამ პარტიას უნდა გაუკეთოთ ილიუსტრაცია და დავანახოთ მკითხველს, თუ როგორ წაიყვანეს მათ თავისი მრწამსი, რა გაუკეთეს რუსეთს და რა ზიანი მიაყენეს მას.

ბიუროკრატიის წინააღმდეგ ყველა ხსენებულთაგანი თავგამოდებით გაწიწებით იბრძოდა, მხოლოდ შემდეგ დაყარეს ფარ-ხმალი. რა იყო ამის ბრალი? რა ის, რომ, ბიუროკრატიის მემკვიდრე აღმოჩნდა ბურჟუაზია. აი სწორედ ბურჟუაზიის იდეოლოგები—კადეტები შეიქნენ მოტრფიალენი კოალიციონური მთავრობისა, რათ შესტრფოდენ კადეტები კოალიციონურ მთავრობას? რათ და, იმიტომ, რომ ჩაეთრიათ ბურჟუაზიულ ფერხულში მოსოციალისტო მენშევიკ-ესერები, გაეჟღენთათ მათი ფსიხოლოგია პარლამენტ-სამინისტროებით და თბილ-გაყუჩებულ ცხოვრებით. შესძლეს კადეტებმა ეს თუ არა? მე ვიტყვი თამამად შესძლეს, შესძლეს იმიტომ, რომ რვა თვის განმავლობაში ჩვენ ვხედავთ რუსეთის რევოლიუციას გაყინულს ერთ წერტილზე, ის არა სწყვეტს არც ერთ საკითხს, სასარგებლოთ პროლეტარიატისა და მშრომელი გლეხობისა, ის უნდება მხოლოდ ომის გაჩაღების საკითხს იმ მიზნით, რომ დაასუსტოს მშრომელი კლასი*) და გააბატონოს ბურჟუაზია. აი ასეთია სოციალისტური პარ. მოღვაწეობა 8 თვის განმავლობაში რუსეთისა.

(შემდეგი იქნება).

ნესტორ ტანჯვიშვილი.

---

## შენ-კი!..—არ ვიცი..

მე მცივოდა...
მაკანკალებდა...
ვიყინებოდი...
მაგრამ შენ მაინც არ დამეიწყებიხარ ჩემო მშვენიერო.
მე ვიჩაგრებოდი...
ცრემლებსა ვღვრიდი...
მაგრამ შენი სახე მაინც თვალწინ მედგა როგორც მხსნელ ანგელოსის.
შევთბი...
ლონე მოვიკრიბე და პირველათ შენსკენ გამოვეშურე სანახავათ. ეხლა აღარ მციოდა... არც ვიცრემლებოდი...
ვიცინოდი...
ვიღიმებოდი და ჩქარის ნაბიჯით შენსკენ მოვეშურებოდი.
მოვაწიე კიდეც შენს სახლამდის...
დავინახე...
მოგესალმე და ნუგეშის ნაპერწკალი ვიგრძენი.
შენ ეწყობოდი...
ემზადებოდი...
იღიმებოდი...
ორიოდ სიტყვა კიდევ ჩამჩურჩულე და სადღაც წადი...
მე მარტოთ დავრჩი.
უშენოდ კვლავ შემცივდა...
ამაკანკალა...
შენ კი!..—არ ვიცი..:

ბურუსიშვილი.

დედა ქალაქი.

---

## „აღდგომა დილა!..“

ესკიზი.

(ძღვნათ კ—ს)

დიდი შაბათი იყო. წმინდა ნინოს მონასტერში დიდი მზადება იყო, რადგანაც მწირველად „ქუთაისის“ მოელოდენ.

შუაღამე გადავიდა, დაიწყეს ზა-

---

*) იქვე გვ. 41—42

*) მხედველობაში მაქვს ის, რომ პროლეტარიატი მიჰყვებოდა წოდებას სამღვდელოებისას და არისტოკრატიისას. რომლებმაც უღალატა მას და რომელთანაც მოუხდა ბრძოლა შემდეგში.

**) აქ თუ მოვიყვანე გლეხები იმ მიზნით, რომ მათი შვილები გახდათ 8 წელს გადახვეწილი რუსეთის ფრონტზე, რომლებმაც აღიმაღლეს ხმა და შეუტიეს.

*) ჩანახახი იმიტომ, რომ მარკს-ენგელსმა თავის მრწამსი ააგეს პროლეტარიატზე, მხოლოდ მენშევიკებმა ყველა ჯურის კლასზე: ბურჟუაზიაზე და ბიურ.

*) მშრომელი კლასი იმიტომ, რომ ის იბრძვის ბურჟუაზია კი მდიდრდება სარგებლობს რა ომისაგან გამოწვეულ მდგომარეობით.

რების რეკა, სოფლიდან ხალხი ნელ-ნელა გროვდებოდა... ხშირი ზარის რეკამ, აუწყა მლოცველთ „ჰყონდარის“ მობრძანება, და ყველანი გაეშურნენ შიგ ეკლესიაში რომ პირველი ალაგი დაეჭირათ...:

მონოზანთა გუნდი მწყობრი გალობით შეხვდა სამღვდელოებას?

ვინიცის ამოდენა ხალხში ვინ როგორ ეგებება ამ დღესასწაულს?!

სახე კი ყველას უღიმის...

ერთი მონოზანი, რომელიც ყოველთვის დალონებული იყო, თავის სიცოცხლეს მხოლოდ მწარე ფიქრებში ატარებდა, ისიც კი იღიმება... ალტაცებით გალობს... მისი ვაჟური ხმა ჩრდილავს მთელს „გუნდს და მსმენელს ტანში ჟრუანტელს უვლის!

...„ქრისტე აღსდგა“...

დაიძახა მღვდელმა, „ჭეშმარიტად“! დაიგრიალა ხალხმა და სწორედ ამ ხმაურობამ, ამ ყიჟინამ გამოარკვია ღრმა ფიქრებში წასული „კლიროსთან“ მდგარი ახალგაზდა ყმაწვილი კაცი, მაღალი ტანის ხუჭუჭ თმიანი შავ თვალ-წარბა, რომელიც მთელი წირვის დროს ქანდაკებასავით იდგა და სივრცეში გაიყურებოდა... თვალებზე თითქოს ცრემლიც მორევოდა, სდუმდა...

რვა წელიწადი გავიდა მას შემდეგ, რაც სიკო დაშორდა თავის საყვარელ ელოს... თითქმის ყველა ფერი დავიწყებას მისცა, ცოლიც შეირთო ორი შვილიც ეყოლა... სცდილობს ყოველთვის, არასოდეს არ მოეგონებინა მისი სიჭაბუკის პირველი სიყვარული, რომელმაც მას ბევრი. ბევრი უბედურება არგუნა, მაგრამ ამ „აღდგომა დილამ“... ამ განთიადმა, ამ ზარების რეკამ „ქრისტე აღსდგამ“... ყველაფერი განაახლა მასში, და თვალწინ წარმოუდგა თითქოს მივიწყებული წარსული...

თვალებიდან ცრემლები წამოსცვივდა და ღრმა ფიქრებში წავიდა...

მოგონებანი სწრაფათ, ერთი მეორეზე გადადიოდენ, მაგრამ მისი გონება ყოველთვის „აღდგომა დილაზე“ შეჩერდებოდა ხოლმე... აი ეს დღე მას მის წარსულის პირველ ტანჯვის დასაწყის აგონებდა...

თვალწინ წარმოუდგა: ლოგინში წევს, ესმის ზარების რეკა... ნელ-ნელა თენდება მოუთმენლად მოელის ელოს მოსვლას ეკლესიიდან... წუთები საათებათ ეჩვენება... აი კარი დააკაკუნა, ფეხ-აკრეფით ფრთხილის ნაბიჯით შემოვიდა, სასურველი სტუმარი დაპირებისამებრ... „ქრისტე აღსდგა!..“

— ჩემო საყვარელო ჩაჩურჩულა ქუდულათ ელომ...

პასუხად სიკომ მოხვია მაგრად ხელები და გულში ჩაიკრა .. დაუწყო გაშმაგებით კოცნა, ისე მაგრად იკრავდა გულში, რომ თითქოს ეშინოდა არავინ წაართვას თავისი საუნჯე...

— ჩემო საყვარელო ასეთი კარგი და მომხიბლავი არასოდეს არ ყოფილხარ... ასეთი ტკბილი აღდგომა ჩემთვის პირველია... ჩემი ბედნიერება უსაზღვროა...

— შენა?.. შენა ჩემო ელიკო?.. რატომ ხმას არ იღებ—ხომ შენც ბედნიერი ხარ?..

— ხო, ჩემო ყველავ, უპასუხა ელომ მეც ბედნიერი ვარ... ჩემო საუნჯევ ნეტარების ზღვავ... მითახარ რამე... გამაგონე ის შენი ნაზი ალერსი...

სწორედა ამ მოგონების ზღვაში ცურაობდა სიკო, რომ მოირბინა პატარა თმა ხუჭუჭა გოგონამ და უთხრა „მამა მე და დიდედა სახლში მივდივართო წამოდიო“!..

სიკო შეტორტმანდა, თვალებზე ხელები გადაისვა და ხმა ამოუღებლივ ინერციით გაჰყვა შინისაკენ მიმავალ გზას... ინსტიქტურად შეჩერდა ერთ ხესთან... მოგონებანი მოსვენებას არ აძლევდენ...

საკვირველია, რატომ ამდენი ხნის განმავლობაში ასე მწვავედ არ გაღვიძებულა მასში ეს გრძნობა, რა მოხდა დღეს ისეთი რომ ეს უბრალო ხეც კი იპყრობს მის ყურადღებას...

შეჩერდა იმ ხესთან და ისევ წარსულის ბურუსში გაეხვია...

რამდენი საღამო ტკბილ ალერსში გაუტარებია მას ამ ხის ძირას ელოსთან!..

ყოველივე ალაგი, საითაც-კი გაიხედავს—ელოს აგონებს!... აგერ პაწია წყარო კ ისე მოჩუხჩუხებს როგორც მაშინ რვა წლის წინად...

მაშ რატომ ასეთი მტკიცე და უცვლელი არ გამოდგა ელიკ. როგორც ეს წყარო, როგორც ეს ბუნება რის უცვლელი ამ რვა წლის განმავლობაში?! რამდენ ჯერ ამ წყაროსთან წყურვილი მოუკლავს ორთავეს.

თავ ჩაქინდრული სიკო, ისე ავიდა სახლის კიბეებზე, რომ უცებ ვერც-კი გამოერკვია თუ სად არის...

აქაც მოუსვენრობა..- აქაც სევდა ეს „აღდგომა დილა“ სტანჯავს სულ თვალწინ უდგა ელო!.. საითაც არ გაივლის, რომელ ოთახში არ შევა ყველგან ელო ელანდება!!!

ასეთ მოუსვენრობაში გაატარა სიკომ აღდგომა თითქმის საღამომდის, შებინდა მოსალოცად მოსული სტუმრებიც დაიშალნენ და მყუდროება მოიცვა მიდამო... ხოლოდ დრო გამ მოშვებით შორიდან ნიავს მოჰქონდა „ქრისტე აღდგას“ სიმღერის ხმა... საზოგადოთ გაზაფხულის შუქი ყველას გულში აღვიძებდა რაღაც იდუმალ გრძნობას, მაგრამ სიკოს გული კი არ გაზაფხულობდა რაღაცა სევდამ შეიპყრო!- რომ არავის შეემჩნია მისი სულიერი მღელვარება გარედ გავიდა და ისევ ტკბილ ოცნებას მისცა თავი... ისევ მოგონების ზღვაში დაიწყო ცურაობა რომ უცბათ, მოესმა ტყიდან ქალის ნაღვლიანი სიმღერა... შეჩერდა... ეს ჯადოსნური ხმა მაგნიტისავით იზიდავდა სიკოს, მიჰყავდა ს-დღაც შორს უფსკრულში, და ვერ ძალუძდა წინაღმდეგობა გაეწია, ეს ხმა იყო ნათესაური, ახლობელი მისდა უნებურად გაჰყვა ამ ხმას,.. თითქმის იცნო სიკომ ეს ხმა სიხარულისგან თვალები დაუბნელდა თან და თან ეს ტკბილი სიმღერა კვნესად- გადაიქცა... ყრუთ ხველაც მოისმოდა,.. სიკო მიუახლოვდა ქალს და წუმწუმის მოუკიდა რომ უფრო კარგა გაერჩია თუ ვინ არის... შეკრთა სიკო და უცბათ შეჩერდა და სიხარულით თვალები აენთო და შესძახა:—ელიკო!., ელიკო! შენ? შექალი ადგილიიდან არ იძროდა სახე გაყვითლებული დაღუნა თავი წასკდა ხველება და სისხლი გადმოანთხია.,. დაეშვა მიწაზე სიკომ გაშმაგებული ხელი სტაცა... ქალმა ლუღლუღი დაიწყო

—უკანასკნელ წუთებში მომაკვდავი არა სტყუის!.. მოდი სიკო,.. ეს შენი სახე, ეს შენი თვალები ეს შენ?.. და თან საშინელი, ხველება არ ასვენებდა—წარსულის დავიწყება ადვილათ არ შეიძლება...

ჩემი სურვილი ეს იყო უკანასკნელათ შენს ხელში დამელია სული, და ამიტომაც მოვედი ამ მონასტერში მონოზნათ... ვგრძნობდი რომ ეს „აღდგომა დილა“ დღეს ჩემთვის სამუდამოთ, დაღამდებოდა...

მოხვია სიკოს ხელები. უკანასკნელათ გადაატრიალა თვალები და ერთი დაიკვნესა... წაილუღლუღა სიკო „აღდგომა დი-ლა დასაწყისი იყო ჩვენი სიყვარულისა და „აღდგომა დილით“ დამთავრდა მაპ-ა-ტი-ვე!.. სთქვა ეს და უსულოდ სიკოს მკლავზე დაეშვა და განუტევა სული... თითქოს ყველა დადუმდა, ხის ფოთლებიცაღარ ირხევიან... მხოლოდ შორიდან მოისმის კიჟინა და „ქრისტე აღდგას“ ხახილი,—სიკო დაეყრდნო გვამს, წასკდა ტირილი და თითქოსნა ჩაუვარდა ვეღარაფრის თქმა ვეღარ მოახერხა და უსიტყვოთ ისიც ჩაეკონა გაცივებულ გვამს... ზარების რეკვა კიდევ გაისმოდა ხალხში!!!

ვარია გვაზავა.

დედა-ქალაქი.

# ქრისტე აღსდგა!!

ალსდგა მკვდრეთით—გაიძახის ყოველი მხრით კაცი, ქალი;
მაგრამ თომას ეს არ მჯერა. მეცრემლება კვალად თვალი!..
ის ჯერეთი არ აღმსდგარა ვინაც მინდა, ვისაც ველი—
საფლავშია საცოდავი და აყრია მიწა ბნელი!!

* * *

ის როდესაც რომ აღსდგება, გაიხსნება კრენდ-საბმელი
და მეც მაშინ თაყვანსა ვცემ, ამწვანდება მინდორ-ველი!—
დღეს იუდას ზეიმი აქვს, რომ ჯერ არვინ არ აღმსდგარა
და ხალხი კი გაიძახის: „ქრისტე აღსდგა“, წარა—მარა!...

აეტი გეწაძე.

# წარსული ამბორი.

გახსოვს თუ არა პირველი ხმობა სიყვარულისა!?

ბედნიერი ვიყავი იმ წუთებში როცა შენმა პირველმა ამბორმა პირველი სიყვარულის ნექტორად დამიარა მთელს სხეულში,

მოსახურავში გახვეული მობინდებულს მოპარვით მოვდიოდი შენს ფანჯარასთან, მაგრამ!, ერთს წუთს შემაჩერა მამათქვენის ერთგულმა დარაჯმა, ბრაზ-მორეულმა საშინელი ყეფით მოიტანა ჩემზე ერიში, როცა მიცნო მან თითქოს შერცხვაო ნიშნათ ბოდიშის მოხდისა საოცარი წკმუტუნით დაიწყო ალერსი!.

ფეხ აკრეფით მოველ, საღამოს გამაგრებული სიო შენს ფანჯარას ტრფობით ეთამაშებოდა თუჯის მაროკედელში ხმა ჩახლეჩილად ხრიალებდა;მე კი, მე თან და თან მიმატებდა გული ცემას, თითქო ადგილიდგან აპირებს ამოვარდნასაო; მაგრამ მოვიკრიბე უკანასკნელი ღონე წყნარად სიოს თამაშში ჩავაქსოვე ჩემი სიტყვა, სიტყვა სიყვარულისა და გამცვნე ლოდინი შენი ფანჯრის ძირიდან, როდესაც არ მშორდებოდა შიში გულის ფართხალი;!

ფეხ აკრეფით ჩამოათავე კიბის საფეხურები, და შენც გადაგქროდა სახეზე შიშის სიყვითლე; შენ მაშინვე ალაყაფის კარებს გავშორებოდი, იქიდან კი ერთად წავსულიყავით დანიშნულ ადგილას; მომიახლოვდი სიტყვები მზად მქონდა საალერსოდ, მაგრამ შენმა დანახვამ გულში უხილავი ნემსი მიჩხვლიტა, ყოველივე დამავიწყა, როგორც მუნჯი ენა დაბმული მოკრძალებით მორცხვად ავიტუზე შენს წინაშე, და შენც დურმე იმავე ბადეში გაბმულიყავ. გამქვავლული ერთი გრძნობით, ერთი სურვილით, უენოთ ხელით შევეხე შენ სხეულს, შენ შეკრთი და ამ შეკრთომაში იმალებოდა ფარული ვნება სიყვარულისა,;

ჩვენ მივდიოდით, წინ მიგვიძღოდა მთვარის შუქზე ჩვენივე ლანდები, ბოლოს მეც ამოვიდგი ენა სიყვარულისგან დამონებული.

ბუნების სილამაზე სიმბოლო იყო მშვენიერების, სადაც ჩვენ ვსეირნობდით, წყნარი ნიავი ტრფობით ეთამაშებოდა წყლის პირად წნორის ფოთლებს, ვერხვის ფოთოლიც კანკალით თამაშობდა; საერთოდ მწვანე მდელო ხავერდოვან ფარჩასავით შრიალებდა, და ამ შრიალში მდინარის პირად მის წყნარს ჩხრიალში ექსოვებოდა სიყვარულის გიჟური დტოლვა მე და შენისა...

აქ უცებ მოულოდნელად წყალში მოადინა რაღვცამ ტყლაშანი: შენ შეკრთი, გულს მომეკარი და შენი გულის მღელვარე ძგერა გრძნობით ხვდებოდა ჩემს გულის ცემას, იქვე ახლოს მთვარის მკრთალ შუქზე გარკვევით მოსჩანდა მებადური, გარწმუნებდი, რომ იგი ბადის სროლის ხმა იყო, რომელმაც შენ შეგაშფოთა ნაზი მტრედივით. შენ მაინც ტრფობით მეკროდი და შენს გრძნობაში აღარ იფარებოდა თავშეკავება აღგზნებული ვნებით სიყვარულისა.

ჩემი თავიც ჩემდა უნიბურად ნელ-ნელა ძირს დაიხარა შენს უღონოდ გადაწეულ თავს უახლოვდებოდა, მხურვალე ტუჩის მაგნიტმა, ერთად შევაწება ორივენი, და სიყვარულის ვნებითი მთვრალნი უგონოდ დავეშვით მწვანე მდელოზე.

მდინარის წყნარი ჩხრიალი რაღაც სევდის ანგებით ისმოდა ჩემს ყურში ნაზი ნიავიც სიგრილის მარაოს გვიქნევდა, სიყვარულის ალში გახვეულებს ოდნავ გვიქროდა შავი ზღვიდან მონაგლეჯი მოალერსე ნიავი.

მაგრამ შენ კიდევ ჩემს გულზე იყავი უგონოდ მისვენებული, ნაზი სიოს ალერსი არ ესმოდა შენს ცეცხლის ალს.

სიწყნარე იყო, სდუმდა არე-მარე, ხოლო ამ დუმილში მდინარე ბუტბუტებდა; მისი ჩხრიალი ისმოდა სევდის ჰანგებად.

შეინძრა ჩვენს წინ წნორის ფოთოლი, აშრიალდა მწყობრად მდელო, ჩვენ თავზე კი წამოდგა მთვარის შუქზე ლანდი, ლანდი ადამიანისა, უჩვეულოდ შევკრთი, მივიხედე თავზე გვადგა გამზადებული, ბეჭზე შემოგდებული ბადით მეთევზე, უნებურად წამოვხტი და ამ წამოხტომით დაახწიე შენც თავი სიყვარულის დამათრობელ ძალას.

ევხევი ნავარძელი.

# თანამედროვე ჰანგები·

დიდი ხანია, ვარდ-ყვავილებს
ალარ უმღერი,—
ჩემ სატრფიალო საგნად გახდა,
კვამლი და მტვერი.
მიზიდავს ქუჩა, დედა-ქალაქის
აურ-ზაური;
ორთქმავალთ კშენა. აურაცხელ
ხალხის ხმაური..
ბულბულთ მაგიერ, სმენას მიტკბობს
ქარხნის გრიალი.—
განთიადისას ჩამომესმის
ვით როიალი.
ელექტრონებსა გააქვს, სწრაფად,
მძლავრად ზანზარი,
ჩემ წინ იშლება სურათები
ათასი გვარი...
ღელავს ქალაქი, ღელავს ზღვაებრ,—
აქ ყველაფერი;
შრომის კოცონზე იწვის მუშა,
გრდემლზე სცემს კვერი!..
დიდი ხანია ვარდ-ყვავილებს,
ალარ უმღერი,
ჩემ სატრფიალო საგნად გახდა,
კვამლი და მტვერი
მიზიდავს ქუჩა დიდ ქალაქის,
აურ-ზაური;
ოლთქმავალთ კშენა აურაცხელ
ხალხის ხმაური.

აპოლონ ხაჟალი.ა

დედა-ქალაქი.

# მებრძოლ ძმებს·

ჰეი, ძმებო!—ხედავთ როგორ
ილესავენ თქვენზე კბილებს?!
და ჩაყლაპვას ვიპირებენ
საქართველოს პირმშო შვილებს!?!

არ შეშინდეთ, რადგანაც რომ
გვეძახიან გმირთა-გმირებს
და ვერას დროს ვერ გნახავენ
აცრემლებულ, ანატირებს!!!

მამა-პაპაც ენგრე გვყავდა,
ხმალზედ ედოთ მუდამ ხელი;
მოსისხლე მტრებს თავს კვეთავდენ:
სავსე იყო მინდორ-ველი!

ეხლაც ისე მოიქეცით
ვინაც, რომ ხართ დღეს ქართველი;
სიკვდილია, რომ დავმარცხდეთ
და გახარდესთ ურდო-ბნელი!!!

ა—ტი გეწაძე.

ქ. ზესტაფონი.
22 მარტი 1919 წ.

# უცხო მზე.

ჩემს ოთახში ბნელა...
(მომეცით სანთელი!)
შინ არიან ყველა?!
მე უცხო მზეს ველი!..

მოჰქრის, მოჰქრის ვრცელი!
(სული ყვითლად დგება)
მოვა ტრფობის გველი
მკერდზედ დამაკვდება!

იღება კარები,—
(ოჰ! მწვავს მეტად ვნება).
ინთება თვალები
და ცრემლებად დნება.

სტირიან ბგერები...
(ცელქობენ დები!—)
მითხრობენ ფერები
თუ როგორ მოვკვდები-

მოვა უცხო მზე!!!
(თეთრი ზღაპრით ვთვრები!..)
მოვა უცხო მზე!!!
მზეს ვუგალობთ ბრმები...

კონნე სპერელლი.

# სევდიან ხიდთან'..

(უძლვნი ...ას)

მარტოდ, ობლად მივდიოდი სევდით, დასერილ ცხოვრების გზაზე... გული ჩემი მწუხარებით იყო დანისლული... სულს მწუხარების ბინდი ჰქონდა გადაფარებული .. ცას გადაეფარა სევდის ღრუბელი... და, ფიქრები, შეუბრალებელი ფიქრები დამეუფლდა და შორს გამიტაცეს... სევდიანი თვალებით გავყურებ მაშვრალთა არეს... სევდის ნიავს ჩემთან გლოვის ხმებიც მოაქვს... და მე, ობოლი, ეული, სევდიან გზას მივყვები,.. მინდა იქ, იქ ვიყო მაშვრალთა ხალხის ცრემლით აღვსილ წრეში... და გული ატოკდა... სული შეშფოთდა... ვიგრძენ სევდის ხიდთან მიახლოვება... სევდიან ხიდთან... სევდიან ხიდთან... ელექტრონივით დამიარა მთელ ტანში...

და იცი, შენს ნახვამდის, შენს გაცნობამდის ბევრს, ბევრს ვიცნობდი მაგრამ... შენმა გაცნობამ, შენთან დაახლოვებამ მე ყველა დამავიწყა... შენთან დაახლოვებამ დასწვა.. დაადნო .. ჰრაქივით ჩამოადნო ჩემი ამაყი სული... ჩემს მზიან გაზაფხულის დღეებს ლოდივით ჩამოაწვა ცივი ზამთარი.. ჩემს სულს გადაფარა ბინდი მწუხარებისა...

და შენ, მხოლოდ შენ დაისადგურე ჩემს არსებაში... შენ ჰპოვე ჩემში ბინა... და გახსოვს, შებინდებისას შენ რომ შეხვედრა შეგპირდი?.. და მე დიდხანს,.. დიდხანს ვიდექი იქ, სევდიან ხიდთან და შენს მოლოდინში ვქრებოდი... ვდნებოდი... უკანასკნელად, როს მეტი ლოდინის ატანა ველარ შევსძელი... როს ძნელი გახდა ზღვა მწუხარების ატანა დავემხვე პირქვე და დიდხანს... დიდხანს ვიტირე... ძლივს, მოვიკრიბე უკანასკნელი ღონე და კვლავ დავიწყე ლოდინი სევდიან ხიდთან...

ჩემი ძახილის გულსაკლავ ხმას შენამდინაც მოეღწია...

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაგინახე... კოხტად მოკაზმული ხარ... ახლოს ვერ მოვედი.., უცნაურად დადიხარ და კეკლუცობ... ეჭვები... მწარე, ეჭვები... დაუსრულებელი შავი გოჟი ფიქრები...

ეგებ ვინმე სხვა შეიყვარე და მისთვის კეკლუცობ!!! შეიძლება მიღალატე!!! სხვას შეჰფიცე!.. მომიძულე.... გამაგდე.. ოხ, წყეულო ფიქრებო!.. მაგრამ შენ მაგას არ იქ... ოხ, ცრემლები... ობოლი ცრემლები მოწყდა ჩემ მწუხრის თვალებს... ცრემლებში ერთად გადალესილან იმედი და მწუხარი... სევდა და განთიადი... და არ ვიცი... არ ვიცი რომელ გზას გავყვე... გზას ტანჯვისას!.. მე ხომ ტანჯვაში ვეძებ ჩემს ბედნიერებას!.. და თუ გინდა დამწვას შეუბრალებელმა მზემ და გამახმოს დაუნდობელმა გრიგალმა, მე მაინც შენ გეძახი... შენ... მიეც ბინა შენს ობოლს, ეულს, სევდის გზაზე მდგომ ჭაბუკს შენს სილამაზის სამეფოში,..

მე ცხოვრების გზაზე მარტოდ, ობლად მივდივარ.. სულით მოწყენილს მძიმე ფიქრები დაჰეუფლენ... იქ, სევდიან ხიდთან ხშირად მივდივარ და შენს ლოდინში ჰრაქიკით ვდნები... ვქრები.

ვ. ხევდიშვილი.

# ჩვენი მუშური კონფერენცია.

ამ დღეებში თბილისში შესდგა მაშვრალთა კონფერენცია. ყოველი შეგნებული მუშა, მიუხედავათ იმისა თუ რომელი პოლიტიკურ პარტიაშიც არ ქონდეს შეფარებული თავი, (რადგანაც ეს პარტიები მუშათა იდეალს არ გამოხატავენ) ის ასეთ კონფერენციის ალტაცებით უნდა შეხვდეს და გაბედულად დაადგენენ იმ საერთაშორისო პროლეტარიატის დროშის ქვეშ, რომელსაც ასწევს ამ კონფერენციაზე თბილისის და ქუთაისის რევოლიუციონური მუშები.

ეს არ არის კერძო პოლიტიკურ პარტიათა მრწამსის და დოგმატების გამომხატველი კონფერენცია; აქ ფართოდ ისმის მუშათა მისწრაფება და მხოლოდ მუშათა მსოფლ-მხედველობა და არა ის კონფერენციები პოლიტ. პარტიებისა, სადაც ალაგი აქვს ლიბერალ-სოც. დემოკრატს ან რადიკალ ან ბურჟიაზიულ ინტელიგენციას, და რომელთაც პროგრამის შედგენის დროს ყველას შეაქვს შიდ თავიანთი მოთხოვნილება. ასეთია ყველასახელმწიფოებრივ პარტიებისა პროგრამა. მე უკვე მოგახსენეთ, რომ ჩვენში იწყება ახალი მუშური მოძრაობა და ყოველივე მუშა თუ კი ის მუშაა, უნდა ჩაებას ამ მოძრაობის ფერხულში.

უმთავრესი მიზანი მუშათა კლასისა, რომელზედაც უნდა აშენდეს მთლიანა მუშათა პარტიის პროგრამა, არის ინტერნაციონალური თავისუფალი სოციალიზმის თავისუფალი კომუნიზმის სახით, ამ კონფერენციამ უნდა გაუთხაროს საფლავი სოციალისტ-სოფისტების სახელმწიფოს და დემოკრატიზმს მოარშიყე პარტიათა დახავსებული ტრადიცების, ჩვენმა პროლეტარიატმა ბარით ხელში უნდა გაუკვალოს გზა ახალ მჩქეფარე სოციალისტურ წყაროს მსოფლიოსაკენ. სოციალიზმის იდეამ ღრმა ფესვები გაიდგა ევროპაში 19 საუკუნეში, მაგრამ სოციალიზმი არ არის ქმნილება ერთი რომელიმე პიროვნებისა; არც უცხოა ის კაცობრიობისათვის, პირიქით უდიდესი ნაწილი კაცობრიობისა ქვეყნიერების შემოქმედნი მონები საუკუნოებით იბრძოდნენ გათანასწორებისათვის ისტორიის დასაბამიდანვე შეურიგებელი სასტიკი ბრძოლა სწარმოებდა და სწარმოებს დღესაც სახელმწიფოსა და სოციალიზმის შორის, კერძო საკუთრების და კომუნიზმის შორის, კანონის და თავისუფლების შუა— მაშასადამე ისტორიაში ჩვენ ვხედავთ მუდმივ ტენდენციას სრული თავისუფლებიაკენ და ნამდვილი თავისუფალ სოციალიზმისკენ. ეს მისწრაფება პროლეტარულმა მოძრაობამ წარმოშვა და მასვე ეკუთვნის ჩვენს კონფერენციაზე ამ აღგილის გაფართოვება და შესისხლხორცება. შეგნებულმა მუშამ ბუნებრივად ძრიელ კარგად იცის წარმოების, თანაბრათ მოთხოვნილებათა თემთა შორის, გაცვლა-გამოცვლა, ვიდრე იმ ფილოსოფმა ან და პროფესორმა, რომელიც ხელოვნურად ჩმახავს სოციალიზმს. პროლეტარიატს სოციალიზმის განსახორციელებლად არ ესაჭიროება არც სახელმწიფო და არც პარტიათა დიქტატურა. მუშათა მოძრაობას ისტორიაში წითელი ზოლივით გაჰყვება ხოლმე თავიდან ბოლომდის ეს სულისკვეთება, მისწრაფება და იდეალი მუშათა კლასისა.

ნიმუშად მოვიყვან სპილენძის მუშათა ფედერაციის დადგენილებას (იხალე საყოველთაო გაფიცვის მეორე დღეს" ბრუშესი და კრაპოტკინის ანარქიზმი და კომუნიზმი).

1, შრომა თავისუფალი ძალდაუტანებელი დაუქირავებელი ყოველი მხრივ.

2, ხმარება წარმოებისა გემოთა და მოთხოვნილებათა მიხედვით.

3, სრული მოსპობა ნაწარმოების განსაზღვრისა ღირებულობის თეორიიდან.

4, გაცვლა-გამოცვლის მოწყობა მოთხოვნილებათ მიხედვით.

5, შრომის ბირჟები, როგორც ცენტრი ადამიანთა მოქმედების და ცხოვრების.

იქვე ნათქვამია, რომ არავითარ ჟანდარმს, პოლიციელს სახელმწიფოს და კანონს ალაგი არ უნდა ექმნეს ახალ საზოგადოებაში.

დღეს ეს მუშური აღგილი უფრო ღრმავდება მუშების მიერ. მიუხედავათ იმისა, რომ მომავალი საზოგადოება კომუნისტური იქმნება, გადაჯაჭვეული უნდა იქნას იგი ფედერაციის საშუალებით კონფედერაციებში და კონფედერაციები მსოფლიო ფედერაციაში.

ზემომოყვანილ დებულებებიდან თავის თავად ცხადია თუ რა ტაქტიკას უნდა დაადგეს პროლეტარიატი. მას უხდება ბრძოლა ძრიელ ორგანიზაციულად მოწყობილ და შეიარაღებულ მტერთან—სახელმწიფოსთან მის ხელშია ყოველივე ტეხნიკა, საწარმოვო ძალები და ფინანსები. მაგრამ ჩვენ ეს არ გვაშინებს: ძალას ძალა უნდა დაუპირდაპიროთ, მუშათა კლასს დაუშრეტელი წყარო აქვს ფიზიკური და გონებრივი ძალებისა, ეი ეს ძალები ჩვენ კონფერენციამ უნდა მისცეს საქართველოს მუშებს ერთგვარი მნათობი საიდანაც ისინი ამოსწურაავენ ყოველივე ბრძოლის საშუალებას. ყოვლის პირველად მუშა, როგორც მუშა. ის უნდა იდგეს მტკიცე ნიადაგზე, ერთ მუშურ მაშვრალთა პარტიაში და შეიქმნას კავშირები ყოველივე დარგის მუშების, მან ე. ი. პროლეტარმა ჩამოაყალიბოს უნდა სინდიკალიზმი, როგორც აღმზრდელი მუშებისა წარმოებაში.

კიდევ ვლაპარაკობ, რომ მუშებმა უნდა მოიყარონ თავი წმინდა მუშურ პარტიაში, რადგანაც არსებულ პარტიებში მუშებს ალაგი არ აქვთ და ეს თავის თავად ლოღიკურია, რადგანაც ყველა ეპოქის სახელმწიფოებრივი პარტიები მუშათა იდეალს ამყარებენ არა მუშათა კლასის ძალებზე და მის შემოქმედებაზე, არამედ სახელმწიფოზე, რომელიც არსებითად სასტიკი მტერია მუშათა კლასისა. მეორე მისთვის რომ ამ სახელმწიფოებრივ პარტიებში ქონდა და აქვს ალაგი ბურჟუაზიას და სახელმწიფოს აგენტებს, რათა თავისი თავი იხსნას მუშების რისხვისაგან.

ამ გვარად მუშა პარტიული ჯაჭვებშია ჩაბმულ და წარმოიდგინეთ თქვენ გამოსვლასაც ველარ ბედავს.

ზემოთ მოვიხსენიეთ, რომ ერთი ძალა ეს იქნება მუშათა კავშირები, მაგრამ გარეშე ყოველივე სახელმწიფოისა და სოფისტური პარტიებისა. ჩვენ ვიცით რომ მუშათა აჯანყების დროს პარტია იაკობინელებისა, რეფორმისტებისა, ეცდებიან მორიგება ჩამოაგდონ მუშებსა და სახელმწიფოს შორის, მაგრამ რაკი პარტია ვერ მიაღწევს ამას, მაშინ სახელმწიფო კაპიტალიზმი ჯარით და სამხედრო ტეხნიკით ილაშქრებს თვით მოქმედ მუშათა კავშირების წინააღმდეგ. პროლეტარიატი გულ-ხელდაკრეფილი არ დარჩება: ძალას ძალა უნდა დაუპირდაპიროთ, რეაქციონურ ბინძურ ტალახით ავსილ სახელმწიფოკაპიტალიზს შეარაღებული რევოლიუციით უნდა უპასუხოთ. აი ამისათვის ამ მუშათა კავშირებს ეწოდება რევოლიუციონური სინდიკალიზმი.

ზემოთ უკვე გაკვრით მოვიხსენეთ სახელმწიფო, რომელიც მავნე ატრიბუტია კაცობრიობისა, ისე როგორც ბრმა წელი ადამიანის აგებულებაში. ის როგორც ასეთი ისტორიის არხივს უნდა ჩაბარდეს. აი მაგალითად რას გვეუბნება Baton-ი თავის წიგნაკში „მუშათა მოძრაობა საფრანგეთში (იხ. მე-10 გვერდი). „დასაწყისში ჩვენ ვხედავთ იტალიურ ხალხთა ფედერაციებს, სადაც მონობა იყო გაბატონებული, სადაც სცხოვრობდენ თავისუფალი, ნახევარ კომუნისტურ ცხოვრებით. რესპუბლიკის დროს ჩვენ ვხედავთ ხელოსანთა თავისუფალ კავშირებს ქალაქებში, რომელთაც სენატი (სახელმწიფო) ეჭვის თვალით უყურებდა და სცდილობს მოსპოს იგინი. იული ცეზარმა მოსპო ეს კავშირები, მაგრამ ახალი კავშირები და ასოციაცები ისევ თავისუფლად დაიბადნენ. იმპერია საშინელ ბრძოლას უცხადებს მათ, მაგრამ უძლურია ამ ბრძოლაში: პოლიციის წესები ვერ შლ ან საზოგადოებრივი ტენდენციას". მაგრამ სახელმწიფო ცდილობს ჩაითრიოს ისინი, ამისათვის მას მფარველობას უწევს და შემდეგ კი რაკი ფეხს მოიდგამს მუშათა კავშირში „არძულებს ჯარი და მხედრობა არჩინოს ამ კავშირებმა მთლად იმონავებს ბოლოს და ბოლოს—ამგვარად მთელ შრომას იჭერს ამწყვდევს ერთ დიდ საიმპერიო ციხეში, სადაცასოციაციის პრინციპის გატარება შეუძლებელია, რის გამო თვით ასოციაცია იშლება, კვდება, ხელიდან ეცლება ის მიზანი, რა მიზნითაც იგი შესდგა თავისუფლად— მფარველობა გაეწია ინდივიდისათვის და ყოფილიყო მისი განვითარების თავდები", სხვა ისტორიის ფაქტებს რომ არ მივმართოთ ესეც საკმარისია და მაშასადამე უნდა ვიქონიოთ მხედველობაში ყველა ის შეცდომები, რომელიც მუშათა კლასს დაუშვია ისტორიაში სახელმწიფოს იაკობინურ პარტიების მეოხებით, აი რისთვის გვძაგს სახელმწიფო მუშათა მოძრაობას, აფერხებს მის წინმსვლელობას და ის კი რაც აფერხებს პროლეტარიატის რევოლიუციონურ მოძრაობას წალეკილი უნდა იქნეს რევოლიუციის ქარცეცხლით.

ამ საერთა შორისო პროლეტარულ ბრძოლაში საუკეთესო იარაღათ ითვლება თვით მუშების მიერ შემუშავებული, გაფიცვები, ბოიკოტი, შეთქმულება, შეარაღებული აჯანყება და ბოლოს კი საყოველთაო გაფიცვა, რომელიც გადიქცევა სოციალური რევოლიუციის ალად, ასეთი მოვლენის დებულებები და პრინციპები რომლის განხორციელება პირველმა მუშათა ინტერნაციონალმა უანდერძა თანამედროვე მუშათა კლას და გადასცა ის დროშა რომელზედაც აღბეჭდილია „,მუშათა განთავისუფლება თვით მუშის საქმეა''.

ასეთია საერთაშორისო მუშათა კლასის გზა, ამ გზას ვერ ასცდება ვერ ჩვენი ქვეყანის პროლეტარიატი და ის მიეშურება ამ გზით მსოფლიოს განსათავისუფლებლად სახელმიიფო-კაპიტალიზმის ბრჭყალებისაგან. სხვა გზა არ არსებობს და თუ არსებობს—არსებობს გზა ჯოჯოხეთისაკენ.

გ. ჯვარიშეიშვილი

# გერმანიის ბოლშევიზმი.

ამერიკის მმართველ წრეებამდე მიაღწია ხმებმა იმის შესახებ, რომ ბოლშევიკები აპირებენ ჩაიგდონ გერმანიაში ძალა-უფლება ან ვერსალის კონგრესის დროს, ან დაუყოვნებლივ მის შემდეგ, და უარი განაცხადონ ფულის გადახდაზე —სხვა სიტყვებით არ შეასრულონ ზავის პირობები. სპარტაკელთა გეგმაა: მოისპონ ხელშეკრულება და შეინარჩუნონ წინანდელი მდგომარეობა; გააკეთონ რაც სურთ, ჩვენ კი არაფერს გავაკეთებთ". მოსულ ცნობების მიხედვით მათ იმედი აქვთ. რომ ამგვარათ მოკავშირენი იძულებული იქნებიან დაიპყრან ცენტრალური ევროპა, რასაკვირველია იმ იმედით, რომ ასეთი ზომა თანაგრძნობას არ გამოიწვევს მოკავშირეთა შორისაც ისინი პროპაგანდას გასწევენ საოკუპაციო ჯარში, რომელიც სამშობლოში დაბრუნების შემდეგ თვით გაავრცელებენ ბოლშევიზმს.

**რუსი ბოლშევიკები ბუდაპესტში**

ლენინის დელეგაცია ბუდაპესტში ჩავიდა. ბოლშევიკები პირდებიან უნგრეთს 250,000 კაცისგან შემდგარ ჯარს.

ამერიკიდან პოლონეთში გაიგზავნა 83.000 ტონი სურსათი. 20 თებერვლიდან აღმოსავლეთ ფრონტზე მდგომარეობა ცუდია. ვერნონ კელოგი, რომელიც ეხლა დაბრუნდა იქიდან, ამბობს, რომ მილიონ მცხოვრებთა სამი-მეოთხედი შიმშილისაგან კვდება ლვოვის, კოველის და პინსკის ოლქებში. სურსათს მოკლე ანში მიზიდავენ. არ იქნება ამ ადგილებში ერთი ოჯახი, რომ არ იყოს ავათმყოფი სახადით და ყვავილით. უკრაინელების მიერ დაპყრობას ლვოვი გადაარჩინა ამერიკიდან მოსულ 37 ფურგონმა სურსათით, რომელიც ქალაქში იმ დროს შევიდა, როცა უკაასკნელი სურსათი გამოილია. მთელ აღმოსავლეთის ფრონტზე ბავშვები დაიხოცნენ. ხალხი ხილით იკვებება, რუსეთიდან გამოქცეულების მოსვლა კიდევ უფრო ართულებს მდგომარეობას. ისინი ამბობენ, რომ ბოლშევიკების ჯარშიც შიმშილია, პოლონელები აღმოსავლეთ ფრონტზე ბოლშევიკების წინააღმდეგ იბრძვიან. გერმანელები კი დროებითი ზავის პირობების მიუხედავათ, დასავლეთ საზღვარს ესვრიან. ვენაში, სთქვა პელოგმა, მდგომარეობა უფრო ცუდია ვიდრე იანვარში. სურსათი მოდის სამხრეთიდან, მაგრამ მოტანის საქმე ცუდათ არის დაყენებული. ამერიკელი ლეიტენანტი, რომელიც ვენაში მიმავალ სასურსათო მატარებელს ხელმძღვანელობდა, ვარტბურგში დასტოვეს და აცნობეს, რომ შემდეგ აღარ გაუშვებენ. რევოლვერით დამუქრების შემდეგ მას ნება მისცეს განეგრძო გზა.

# მთავრობის ცნობა.

საგარეო საქმეთა სამინისტრო ამით აუწყებს, რომ „აზბატავორში" და „ზნამია ტრუდა"-ში მოთავსებული და შემდეგ „გრუზია"-ს მიერ გადაბეჭდილი ცნობა, ვითომც მთავრობის თავმჯდომარეს ნ. ჟორდანიას ჰქონდეს [illegible] ინგ. ტომსონთან, რომელსაც ვითომც განეცხადებინოს ნ. ჟორდანიასთვის, რომ პარიზის კონფერენციას კავკასიის რესპუბლიკათა დამოუკიდებლობა არ ეცნოს, სრულიად არ ეთანხმება სინამდვილეს და გამოგონილ ჭორათ უნდა ჩაითვალოს.

# ჩვენს კავშირში

კვირას შეიკრიბა პირველათ ახლათ არჩეული მთავარი კავშირის გამგეობა. არჩეულ იქმნა აგრეთვე ხელმძღვანელები რედაქციისა.

კვირას საღამოს პირველ რაიონის ბიუროში მოხდა ჩვენი კავშირის წევრების საერთო კრება. კრების თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ერმილე კვერეხაძე მდივნათ იონა ბაქრაძე. მოხსენება გააკეთა ამხ. ბესო ქელბაქიანმა და სხვა ამხანაგებმა. ვრცელი მოხსენება იყო გაკეთებული ჩვენი კონფერენციის მუშაობის შესახებ და სხვა და სხვა საორგანიზაციო საკითხებზედ.

# ახალი ამბავი.

ორშაბათს, 21 აპრილს ქართულ კლუბის თეატრში ქართველ მსახიობთა ამხანაგობა ვასო აბაშიძის და ელ. ჩერქეზიშვილის მონაწილეობით, მართავს სადღესასწაულო წარმოდგენას, წარმოდგენილი იქნება მხიარული კომედია ხანუმა. ესევე ამხანაგობის დასი მეორე დღესვე ელ. ჩერქეზიშვილის მონაწილეობით მიემგზავრება კახეთს წარმოდგენების გასამართავად, წარმოდგენები გაიმართება შემდეგ ადგილებში: სიღნაღში, ველისციხეში, გურჯაანში და სხვა ადგილებში.

სამშაბათს 22 აპრილს დემოკრატიულ კლუბში მუშტაიდში ადგილობრივ წრის მიერ მსახიობ ფრანგიშვილის საბენეფისოთ—წარმოდგენილი იქნება „და-ძმა"

# პროვინცია

**ჭიათურის რაიონი.** მას შემდეგ, რევოლიუცია, რომ გამოცხადდა და მოუპოვა მუშათა კლასს თავისუფლება, სოფლის გაღატაკებული გლეხ-კაცობა, დარწმუნდა, რომ აწი მაინც ჩვენი თავის პატრონი თვითონ ჩვენ ვიქნებითო. და ყოველივე საჭირ-ბოროტო საქმეებს, ჩვენი სურვილით გაუძღვებითო, მაგრამ რამოდენიმე საზოგადოებას იმედი ეკარგება ზოგიერთი „ბატონი" კომისრების მეოხებით, და წარმოიდგინეთ, რომ საწყალი გლეხი ძველ მამასახლისს „აღდგომასავით" მოელის. ავიღოთ მაგალითად კაცხის საზოგადოება შესდგება 1,200 კომლისაგან, რევოლიუციის შემდეგ, ათასჯერ შეიკრიბნენ და ჰქონდათ მსჯელობა კომისრის არჩევის შესახებ, მაგრამ ვერ მოესწრენ იმისთანა კომისარს, რომელიც ხალხის სურვილის გამომხატველი ყოფილიყოს. მთელი საზოგადოების სოფლები მოფენილია შკოლებით, კოოპერატივებით, არის სამკითხველოც. ადმინისტრაციის მხრით კი დიდ „სიკეთეს" განიცდის. ოთხმოცდა ცხრამეტი პროცენტი მცხოვრებლნბისა ე. ი. 1,200-ში 1,100 მაინც უნდობლობით უყურებს სოფ. ვაჯევის სამოცი კომლისაგან არჩეულ კომისარს ბ- ც—ძეს. ეს უკანასკნელი კი მიუხედავათ იმისა, რომ ამ სამოცი კომლის ნდობა გაამართლოს, მაინც 1,100-ის მაგივრად სამიკიტნოებში უფრო მოღვაწეობს ვიდრე სამმართველოში.

საწყალ ხალხს კი ერთად ერთი იმედი და შერჩენია,—სახელდობრ ის, რომ ახლად არჩეული მთავრობა მაინც სასტიკ ზომებს მიიღებს ამნაირი სოფლის „მამების" წინააღმდეგ.

გერასიმე ნიჟარაძელი.

რედაქტორ-გამომცემელი. სარედაქციო-კოლეგი.

სტამბა ქართული ბეჭდვითი ამხანაგობის", გოლოვინის ქუჩ. ტელ. 4—73.